დანართი III

სასესხო სახსრების გამოთხოვნა და განაწილება

ზოგადი

1. წინამდებარე დანართში მოყვანილ ცხრილში (შემდგომში „ცხრილი") განსაზღვრულია ის კატეგორიები, რომლებიც სესხის სახსრებით უნდა დაფინანსდეს, აგრეთვე თითოეული კატეგორიისთვის გამოყოფილი თანხა. (წინამდებარე დამატებაში ტერმინი „კატეგორია"/„კატეგორიები" აღნიშნავს ცხრილში წარმოდგენილ კატეგორიასა და კატეგორიებს, ხოლო ტერმინი „ქვეკატეგორია"/„ქვეკატეგორიები" ამ კატეგორი(ებ)ის ქვეკატეგორიას/ქვეკატეგორიებს).

აზიის განვითარების ბანკის დაფინანსების პროცენტული წილი

2. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება აზიის განვითარების ბანკთან, ცხრილში ჩამოთვლილი კატეგორიებისა დ ქვეკატეგორიების მუხლები სესხის სახსრებით დაფინანსდება ცხრილში წარმოდგენილი პროცენტული ოდენობების საფუძველზე.

გადანაწილება

3. რომელიმე ხარჯისათვის გამოყოფილი სესხის თანხის მოცულობის ან ანგარიშიდან თანხის გამოტანის პროცენტის მიუხედავად, რომელიც ცხრილშია წარმოდგენილი

(ა) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა, არ არის საკმარისი ამ კატეგორიის ყველა შეთანხმებული ხარჯის დასაფინანსებლად, აზიის განვითარების ბანკს შეუძლია სესხის აღებთან კონსულტაციებისა და შეთანხმ,ების საფუძველზე: (1) ასეთ კატეგორიაში გადაანაწილოს გაანგარიშებული დეფიციტის დასაფარად საჭირო მოცულობის სესხის ის სახსრები, რომელიც იმ მომენტისათვის სხვა კატეგორიისათვის არის გამოყოფილი და რომელიც აზიის განვითარების ბანკის აზრით ამ ხარჯების დასაფინანსებლად საკმარისზე მეტია.; (2) თუ ამგვარი გადანაწილება სრულად ვერ დაფარავს გაანგარიშებულ დეფიციტს, შეამციროს მოცემულ მონეტში ამგვარი ხარჯებისათვის გათვალისწინებული ანგარიშიდან თანხის გამოთხოვნის პროცენტი, რათა გაგრძელდეს ამ კატეგორიის ფარგლებში ანგარიშიდან თანხების გამოთხოვნა

აღნიშნული კატეგორიის ქვეშ ხარჯის განხორციელებამდე; და

(ბ) თუ რომელიმე კატეგორიისათვის გამოყოფილი სესხის თანხა აღემატება ამ კატეგორიის ქვეშ შეთანხმებული ხარჯის ოდენობას, აზიის განვითარების ბანკს შეუძლია სესხის ამღებთან კონსულტაციებისა და შეთანხმების საფუძველზე გადაანაწილოს ამგვარი ზედმეტითანხა ნებისმიერ სხვა კატეგორიაში.

<u>სესხის თანხის ჩამორიცხვის პროცედურები</u>

4. თუ სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული ADB-სთან, საქონლის, სამუშაოების, და საკონსულტაციო მომსახურების დასაფინანსებელი სასესხო სახსრების ჩამორიცხვა განხორციელდება ADB-ის სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს თანახმად. (2007, დროდადრო მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით)

<u>სპეციალური ანგარიში; ხარჯების უწყისები</u>

5. (ა) თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება აზიის განვითარების ბანკთან, დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდმა გაახსნას სპეციალური ანგარიში სესხის ამღების სახაზინო სამსახურში. სპეციალური ანგარიშის გახსნა, მართვა, შევსება და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს აზიის განვითარების ბანკის სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს შესაბამისად, ხოლო დეტალური ღონისძიებები უნდა შეთანხმდეს სესხის ამღებსა და აზიის განვითარების ბანკს შორის. საავანსო ანგარიშის ჯალუტას წარმოადგენს დოლარი. სპეციალურ ანგარიშზე გასათავსებელი საწყისი თანხა არ უნდა აღემატებოდეს (1) პროექტის განხორციელების პირველი ექვსი (6) თვის განმავლობაში ამ ანგარიშიდან დასაფინანსებელი ხარჯების საორიენტაციო თანხას; (2) სესხის თანხის ათი (10) პროცენტის ეკვივალენტს.

(ბ) ხარჯების უწყისების პროცედურა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებადართული ხარჯების ასახახლაურებლად და სპეციალურ ანგარიშზე არაუმეტეს 200,000 აშშ დოლარის ინდივიდუალური გადახდებისათვის შეტანილი ავანსების ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვესესხის დამტკიცებისა და გამოთხოვნის პროცედურა

6. იმ ქვესესხისთვის, რომელიც განკუთვნილია პროექტის დაფინანსების საშუალების კომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ქვეპროექტისათვის და რომლის თანხაც არ აღემატება ორ მილიონ (2,000,000) დოლარს გამოყენებული იქნება ქვესესხის დამტკიცებისა და გამოთხოვნის პროცედურა აზიის განვითარების ბანკის სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს შესაბამისად , იმის გათვალისწინებით რომ შესაბამისი SSR და თანხის გამოთხოვის აპლიკაცია წარედგიენა ADB-ს. იმ ქვესესხის გამოთხოვნის წინ, რომელიც განკუთვნილია პროექტის დაფინანსების სახსრების კომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ქვეპროექტისათვის და რომლის თანხაც უდრის ან აღემატება ორ მილიონ (2,000,000) დოლარს, საჭირო იქნება აზიის განვითარების ბანკის მიერ შესაბამისი SAR და ინვესტიციის დაფინანსების ხელშეკრულების წინასწარი განხილვა და დამტკიცება ჩამორიცხვამდე, აზიის განვითარების ბანკის სესხის თანხების ჩამორიცხვის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

7. რეტროაქტიული დაფინანსება

სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს ნებადართული დასაბუთებული ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც განხორციელდა ძალაში შესვლის დღემდე, მაგრამ არაუადრეს 12 თვისა ამ სასესხო ხელშეკრულების გაფორმებამდე და აუცილებელი ხარჯების მაქსიმალური თანხა სესხის თანხის 20 პროცენტის ექვივალენტს შეადგენს.

სასესხო ანგარიშიდან თანხების გამოთხოვნის პირობები

8. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება აზიის განვითარების ბანკთან, ნებისმიერი კატეგორიისათვის სესხის ანგარიშიდან თანხის გამოთხოვნა არ შეიძლება მანამდე, სანამ

(ა) სესხის ამღები აზიის განვითარების ბანკს არ წარუდგენს მისთვის დამაკმაყოფილებელ სათანადოდ გაფორმებულ პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას;
(ბ) მუნიციპალური განვითარების ფონდი არ წარუდგენს აზიის განვითარების ბანკს მინიმუმ ერთი ქვეპროექტისთვის SAR-ს ან SSR-ს და დაფინანსების საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტს, ADB-სთვის მისარები ფორმითა და შინაარსით.

9. წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების სხვა დებულებების მიუხედავად, დაუშვებელია სპეციალური ანაგარიშიდან თანხების გამოთხოვა 2 000 000 დოლარის ეკვივალენტი ან მეტი საანგარიშო ღირებულების მქონე ქვეპროექტისათვის მანამდე, სანამ მუნიციპალური განვითარების ფონდი აზიის განვითარების ბანკს არ წარუდგენს ამ ქვეპროექტისთვის SAR-ს ADB-სთვის მისარები ფორმითა და შინაარსით.

ცხრილი

სესხის სახსრების გამოყოფა და ანგარიშიდან გამოთხოვნა (მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – II ფაზა)				
კატეგორია				აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება
		ADB-ის დაფინანსებისათვის გამოყოფილი მთლიანი თანხა SDR		ADB-ის დაფინანსების პროცენტული წილი სასესხო ანგარიშიდან
ნომერი	პუნქტი	კატეგორია	ქვეკატეგორია	
1	პროექტის დაფინანსების საშუალება	16,802		
1ა	ქვეპროექტები მექანიზმი 1-ის ფარგლებში		11,137	მთლიანი ხარჯების 68%
1ბ	ქვეპროექტები მექანიზმი 2-ის ფარგლებში		5,665	მთლიანი ხარჯების 85%
2	პროექტის მართვა და პერსონალის მომზადება(საკონსულტაციო მომსახურება)	867		მთლიანი ხარჯების 80%
3	მიმდინარე ადმინისტრირება	1,517		მთლიანი ხარჯების 85%
4	გაუნაწილებელი	188		
	შულ	19,374,000		